ცნობის ფურცელი

№ 1694 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 პარასკევი, 11 იანვარი № 1694

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვების 11—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელის და ცხვირისა 10—11 საათამდე

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით დაშაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებსა 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

საღამოს 9 საათიდან დილის 7-მდე ექიმები მორიგეობენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274. (წლ.)

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—2)

სამხატვრო კლასები
ოლ. ი. შმერლინგისა და ნ. ვ. სკლიფასოვსკისა

(სემინარიის ქუჩა, თავადერთა ეკონომიურ საზოგ. სახლი) ამზადებენ სამხატვრო სკოლებისათვის და უმაღლეს სპეციალურ სამხატვრო სასწავლებლებისათვის.

მიიღებიან საღამოს 5-თი საათიდან 7 საათამდე. (5—1)

ეკონომიური განკერძოება და ეროვნული გაერთიანება

IV

ერის ცხოვრებაში ეკონომიური განკერძოება ჰნიშნავს კლასთა და წოდებათა განკერძოებას. საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რომელიც სხვა-და-სხვა ჯგუფებიდან შესდგება, ამგვარი განკერძოება აუცილებელია, მით უმეტესს, როდესაც ერთი ამ ჯგუფთაგანი ეკონომიურად მაღლა სდგას დანარჩენ ჯგუფებზე. ეკონომიური განკერძოება ერის ცხოვრებაში ის განზე გამწევი, ლტოლვილების (центробѣжная сила) ძალაა, რომელიც არღვევს და შლის ერის სიმრთელეს. პირიქით, ეროვნული ერთიანობის მიდრეკილება შინ, ცენტრისკენ, მიმზიდავი ღონეა (центростремительная сила), რომელიც სცდილობს გაორკეცებული გააერთიანოს და დარღვეული გაამრთელოს.

ამ ორ ძალთა შეტაკებაში გამოისახება ერის ძარღვის ცემა, მის საიდუმლო სიცოცხლის მიმდინარეობა. ეს ის პროცესსია, რომლის საშუალებით შინაურ ცხოვრებაში აღმოცენებული უსამართლობა და უთანასწორობა თანდათან ისპობა და ჰქრება. ამ შეტაკებიდამ წარმოიშობა განსაზღვრულ თავისუფალ ადამიანთა შორის თავისუფალი განწყობილება—სწორედ ის, რაც გაამართლებს ერის განცალკევებულ არსებობას.

მაგრამ, კითხვა იბადება, როგორ მოხდება ყველა ეს, თუ კი ერის შემადგენელ კლასებს შორის უთანხმოებაა და ბრძოლა? თუ ორი მოპირდაპირე ერთმანერთში მოურიგებელია, თანხმობის ჩამოგდება ფრიად გაძნელებულია.

წინა წერილებში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჩვენს წოდებათა და კლასთა შორის ხიდია ჩატეხილი ერთს უმთავრეს ადგილას. ქონებრივი უთანასწორობა ის მკვიდრი კედელია, რომელიც ჰყოფს ჩვენს ერს ორ ბანაკად. ხოლო მეორეს მხრივ, მოქალაქეობრივ საერთო ინტერესებს აქა-იქ ჩაუნგრევიათ ეს კედელი, ამოუღიათ ქვები და დაუშლიათ გადუვალი საზღვარი. კითხვა იბადება, როგორ უნდა დაბოლოვდეს ამ კედლის დანგრევის საქმე? ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ არც ერთი კლასი (მით უფრო უსაქმური) თავის ადგილს არავის დაუთმობს და ზოგადი მოსაზრების ძალდატანებით არ იმსხვერპლებს თავს სხვის სასარგებლოდ. თუ ეს ასეა, ჩვენ მივედით სწორედ იმ საზღვრამდე, რომელიც ჩვენს კლასთა შორის გაერთიანების და განკერძოების საზღვრად ჩაითვლება.

„ქართველობის“ ნორმალურ გაერთიანებას გზაში ეღობება ორი მოვლენა: ფეოდალიზმის ნარჩენი, ერის ერთის ნაწილის წოდებრივი უპირატესობა და ბურჟუაზიის ფეხზე დადგომა, ერის მეორე ნაწილის ქონებრივი უპირატესობა. ფეოდალიზმს ბოლო მოუღო ისტორიულმა გარემოებამ. მემამულეთა უსაქმიანობას გვერდში ამოუდგა თვით-მომქმედი გლეხობა. და გლეხობის ამ თვით-მოქმედებამ და შეგნებამ იმერეთში, მაგალითად, სახე უცვალა ძველად დამყარებულ მიწის მფლობელობის წესს. გლეხი თან-და-თან წვრილ მესაკუთრეთ ხდება და თავად-აზნაურიც იმის საფეხურამდე ჩამოდის. პირველ პროცესს აუცილებლად უნდა მოჰყვებოდეს მეორე პროცესსი. ქართლ-კახეთიც ამ გზაზე შედგება—სხვა გასავალი არსად არის. ცხოვრების გაკვეთილი და მოთხოვნილება ამას გვასწავლის. და როცა ყველა ეს დამთავრდება და დაიბადება ნიადაგი ახალ ეკონომიურ ევოლიუციისათვის, მაშინ ეროვნულ გაერთიანებისათვის ერთ დაბრკოლებას ავიცილებთ თავიდან და დაგვრჩება მეორე, ამ ჟამად ჯერ კიდევ სუსტი, ხოლო მომავალში გაძლიერებული და გაღონიერებული—ბურჟუაზიული ქონებრივი უპირატესობა.

როდესაც მე წინად ბურჟუაზიის წარმოშობის აუცილებლობაზე ჩამოვაგდე ლაპარაკი, მოპირდაპირეებმა ხალხზე გაბატონების სურვილი დამწამეს, ბურჟუაზიის იდეოლოგად გამხადეს და მთავარ-სარდლის ხარისხამდეც ამიყვანეს. ამ ჩემს სარდლობას და ღენერლობას თავ-გამოდებით ხაზს უსვამდნენ. მე კარგა ხანს არ მესმოდა ამგვარი გულკეთილობა მოპირდაპირეებისა—ეს ჩემი სარდლობა და ბურჟუაზიის წინამძღოლობა რად უნდათ მეთქი. ბოლოს გავიგე და მივხვდი, რად უნდოდათ.

თუ ბავშვების თამაშობისთვის გიდევნებიათ ოდესმე თვალ-ყური, ანუ თუ ოქვენი ბავშვობა არ დაგვიწყებიათ, მოიგონებთ, რომ პატარები ხშირად „ავაზაკობას“ ან „ომიანობას“ თამაშობენ-ხოლმე. ერთს „ქარიმას“ მეორეს „ტატო წულუკიძის“ სახელს უწოდებენ. ერთი თათრის „ღენერალია“, მეორე რუსის „პოლკოვნიკი“, მესამე ბურების გმირი „დევეტი“ და სხვ. ბავშვები გატაცებით, თავ-დავიწყებამდე თამაშობენ ხოლმე ამგვარ სათამაშოებს. მუდმივი ცხოვრება უფერულია, არც გმირობა სჩანს, არც ომიანობის ჰექა-ქუხილი. „თამაშობა“ ოცნებას უბადავს და ცხოვრების ერთ-გვარობას არღვევს. ბავშვს მართლა ჰგონია, ღენერალი დევეტი ვარო. თითონაც სიამოვნებს და თავის მეგობრებსაც ასიამოვნებს.

უნებლიედ მაგონდებოდა ხოლმე ამ გვარი ბავშვების თამაშობა, ვუკვირდებოდი რა ჩემ მოპირდაპირეთა თავ-დავიწყებამდე მისულ თარეშობას. მართლაც და, თუ კი მე ბურჟუაზიის ღენერალი ვარ, სხვა რატომ არ უნდა იყოს დემოკრატიის ფელდმარშალი? მოპირდაპირე რაზმებს წინამძღოლი უნდა ჰყავდეთ. ამას ბრძოლის ტაქტიკა მოითხოვს. და სადაც ფელდ-მარშალია, იქ სხვა ხარისხის „ჩინებსაც“ ურიგებენ-ხოლმე. არავის არ აწყენინებენ, მოიგონებენ და თავ-თავის ადგილს გაამწესებენ... საუბედუროდ, ეს სარჩული ედვა ჩვენს „მემარცხენე“ ბანაკში ატეხილ ალიაქოთს.

ბურჟუაზიას ჰქმნის ვაჭრობა და მრეწველობა. ვაჭრობა და მრეწველობა საჭიროა, როგორც ადგილობრივ ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, ისე ერთა შორის კავშირის გამტკიცებისათვის. დღეს ამგვარ აგენტად ევროპა-ამერიკაში ბურჟუაზიაა—ხალხის ერთი ნაწილი, რომლის ხელში ფული და წარმოების იარაღია. დღეს ხალხის მოთხოვნილებას (ჭამა-სმის, ჩაცმა-დახურვის, სადგომების და სხვ.) ბურჟუაზიული აგენტები აკმაყოფილებენ. ხოლო მთელ მოგებას თვითონვე იღებენ. საერთაშორისო ვაჭრობა-მრეწველობაც ამ აგენტების ხელშია და აქაც სარგებლობა მათვე რჩებათ.

სიმდიდრეს შრომა ჰქმნის, ხოლო სიმდიდრის შემუშავებისათვის საჭიროა იარაღი.

ფელეტონი

სიტყვა კაზმული მწერლობა 1901 წ.

(შემდეგი *)

„კვალის“ ფურცლებზე გასულს წელს დაისტამბა საინტერესო მოთხრობა ლალიონისა „ეფემიას ოცნება“. მართალია, თითონ მოთხრობა ქართულის მწერლობის სალაროს ბევრს ვერაფერს შეჰმატებს; როგორც შემდეგში დავანახვებთ მკითხველს, ამ მოთხრობას ნაკლულევანებაც ცოტა არა აქვს, მაგრამ ზოგიერთს იმის ადგილებს ნიჭიერების უტყუარი ბეჭედი აზის და, რადგანაც იმისი ავტორი, ბ. ლალიონი, ახლად გამოდის სამწერლო ასპარეზზე, კრიტიკა ვალდებულია სრულის ყურადღებით მოეკიდოს იმას, რადგანაც შესაძლოა, გაუადვილოს მწერალს თავისი ნიჭის გამორკვევა. კრიტიკას ორგვარი მოვალეობა აქვს—მკითხველ საზოგადოებისა და მწერლების წინაშე. ხშირად, თითქმის მომეტებულს ნაწილად ორივე მოვალეობა ერთისა და იმავე გზით და საშუალებით სრულდება, მაგრამ ზოგჯერ კი შეიძლება მკითხველისთვის ძალიან ნაკლებს ინტერესს წარმოადგენდეს ის, რაც კრიტიკოსის აზრით აუცილებლად უნდა იქმნას ნათქვამი და გამორკვეული თითონ მწერლების ჩასაფიქრებლად... მაგრამ კრიტიკის შესახებ მსჯელობა შემდეგისთვის გადავდოთ და ეხლა ლალიონის მოთხრობა გავითვალისწინოთ.

მოთხრობის შინაარსი ორის პირონების, ეფემიასა და გიორგის გარეშემო ტრიალებს. ეფემია სოფლის ქალია, რომლის მშვენიერებაც ვარდის მზგავსად გადიშალა ლიხის მთის გადაღმა ერთს ქვრივად დარჩენილის ღარიბ აზნაურშვილის ცოლის სახლში. თვალის წარმტაცმა და გულის მომაჯადოვებელმა სილამაზემ ეფემიას მრავალი მოტრფიალე და საქმრო გაუჩინა. სიღარიბის კალოზე გაზრდილმა ეფემიამ კარგად იცის, რა მნიშვნელობა აქვს სიმდიდრეს და სარჩოსაბადებელს ადამიანის ცხოვრებაში. მოსიყვარულე დედისაგან გალაღებულს და განებივრებულს ეფემიას კარგად ესმის ისიც, რომ იგი დამატყვევებელ მშვენიერების პატრონია, და ამიტომ გათხოვებას არა სჩქარობს, უცდის ბედს და ისეთს საქმროს, რომელიც იმას ფუფუნებით აცხოვრებს და სიმდიდრის მონაწილედ გაჰხდის. გიორგი იმერეთიდან ტფილისს სიმდიდრის მოსაპოვებლად გამოხიზნული ვაჭარია, რომელსაც იღბალმა გაუცინა და ფულიანად გახადა. გიორგი და ეფემია ერთმანეთს პირველად სოფელში ჰხედავენ; ამ დროს გიორგი უკვე იმდენად შეძლებული კაცია, რომ რკინის გზაზე პირველის კლასის ვაგონებით მოგზაურობს, თითებზე ძვირფასი ქვებით მოჭედილი ბეჭდები ასხია, ჟილეტის ჯიბეში დიდი ოქროს საათი უძევს, რომელსაც გრძელი ოქროსივე ჯაჭვი ამაგრებს და სხვ. გიორგის თვალში მოსდის სოფლის ნორჩი ვარდი, მშვენიერი ეფემია, და ეფემიას ოცნებას კი გიორგის მდიდრული მორთულობა და ქალაქური ქცევა-ყოფა ფრთას ასხამს და სიმდიდრის წყაროს გზას უჩვენებს. კეთილის მსურველი მაშვალები მალე მოარიგებენ საქმეს და მალე იმართება ჯვარის წერის წინამორბედი ნიშნობა. გიორგი გულ-გადახსნილი შეჰხარის ეფემიას, მშვენიერების ჰაერში დასცურავს და სიტკბოების ბალზამს ეწაფება; ეფემია ჰხედავს, რომ იმისი ოცნება მართლდება, ჰხედავს, რომ სიმდიდრის სამფლობელოსაკენ კარი ეხსნება, და იმის სიხარულს დასასრული არა აქვს. დანიშნულები კარგა ხანს არიან ერთად სოფელში და ჯვარის წერას აპირებენ, მაგრამ ვაჭრობის საქმეებისა გამო გიორგი იძულებულია დროებით მიატოვოს თავისი სატრფო და საჩქაროდ დაბრუნდეს თბილისს. ტფილისში გიორგი სანუგეშოსა და საიმედოს ვერაფერსა ჰხედავს, ერთად ერთი საშუალება დაცემულის ვაჭრობის გამოსაკეთებლად ის-ღა დარჩენია, რომ მზითვიანი ქალი შეირთოს და ცოლის ფულებით მოაწყოს თავისი საქმე. ასეთი ქალიც მალე გამოჩნდება და გიორგი ერთს გონჯს, მაგრამ მდიდარს ქალზე იწერს ჯვარს. ეს გარემოება ეფემიასა და მისი დედისთვის საიდუმლოდ რჩება. ისინი რამდენიმე თვე ელიან გიორგის ტფილისიდან საქორწილოდ, ელიან მოუთმენელის მოლოდინით, მაგრამ ამ მოლოდინს დასასრული არ ეძლევა. სოფელში ათასი ხმა ვრცელდება და ეფემიას სახელს მეზობლების თვალში ჩირქი ეცხება. ეფემია შეუპოვარის და მედგარის ხასიათის ქალია, ის ვერც თავის ბედნიერების დაკარგვის ფიქრს მოჰრიგებია, ვერც სოფლის ჭორებს და ერთს დღეს გადაწყვეტით უცხადებს თავის დედას, რომ ორივენი ტფილისში უნდა წავიდნენ გიორგის სანახავად. ჩვენი გმირი თავის გადაწყვეტილებას მალე აასრულებს; შემთხვევით გიორგი იმათ სადგურზე დაჰხვდება და ისეთის საამურის კილოთი აძლევს სალამს, რომ ეფემიას და იმის დედას ბედნიერება ხელმეორედ ნაპოვნი ჰგონიათ. გიორგი გულუხვს მასპინძლობას უწევს მოულოდნელს სტუმრებს, სამს მშვენიერად მორთულს ოთახში ათავსებს, მოხდენილს ტანისამოსს უფეშქაშებს, ცირკსა და თეატრებში დაჰყავს, აჩვენებს ოპერას, ბალეტს და სხვ. ყველა ამით მოხიბლულს დედა-შვილს დიდს ხანს ვერ გაუბედიათ ქორწინებაზე ლაპარაკის ჩამოგდება და, როდესაც ამის შესახებ ეფემია შეეკითხება თავის ყალბს საქმროს უკანასკნელი რამდენიმე თვით გადადებას თხოულობს. ძალა აღმართის მხნეჲიაო, და

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1687.

ეს იარაღი—ფული და ქარხნის მოწყობილება. დღეს ეს სამუშაო იარაღი—ფული და ქარხნის მოწყობილება –ბურჟუაზიის საკუთრებაა. უმთავრესი წინააღმდეგობა აწინდელ ეკონომიურ ცხოვრებისა ის არის, რომ ყველგან წარმოება საზოგადოებრივია (общественное производство) და ამ ნაწარმოების ხმარება და საკუთრება-კი განკერძოებული—ინდივიდუალური. (частное пользованіе, частная собственность). და სანამ ეს წინააღმდეგობა საზოგადოებრივ წარმოებასა და კერძო დასაკუთრებას შორის არ მოისპობა, ეკონომიური ცხოვრების წინააღმდეგობა მწვავი იქნება. თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობა ამ გამწვავებულ უთანხმოების გაუქმებისაკენ მიისწრაფვის. ჩვენი ბურჟუაზია დღეს ჯერ კიდევ ნორჩია, მან გუშინ აიდგა ფეხი. ხოლო ეჭვ გარეშეა, რომ იგი გაიზრდება და ამ ზრდაში გამაგრდება.

ამ გარემოებამ არ უნდა შეგვაშინოს ჩვენ, თუ მხედველობიდან არ დავკარგეთ საბოლოო მიზანი, თუ სახელმძღვანელო აზრი ჩხუბსა და გაუგებრობას არ გავაყოლეთ.

თუ ერი ცოცხალია და დემოკრატიული მიმართულება მტკიცეა, ბურჟუაზიის ძალღონის მოხმარებაც შესაძლებელია ერის და დემოკრატიის სასარგებლოდ. საქმე მხოლოდ ის არის, რომ უმრავლესობაში თვით-ცნობიერება და თვით-შეგნება იყოს გაღვიძებული.

ჩვენ წინდაწინვე უნდა ვიცოდეთ, რომ ცხოვრების პროცესსი რკინის ლიანდაგზე დაყენებულ „ვაგონეტკას“ არა ჰგავს, რომ ცხოვრების ყოველი ნაბიჯი დაბრკოლებას ელობება და ხშირად ტკივილის ფასით იყიდება.

თუ გადავწყვიტეთ, რომ ბურჟუაზიულ ხანას ჩვენ ვერ ავსცდებით, ამასთანავე სხვა რამეც უნდა გადავწყვიტოთ, სახელდობრ ის, რომ ჩვენ არ ავსცდებით იმასაც, რაც მოსდევს ხოლმე ბურჟუაზიულ ხანის დამყარებას, ჩვენ არ ავსცდებით შრომის და კაპიტალების უთანხმოებას და წინააღმდეგობას.

გამართლება ამ უთანხმოებისა, მხარის მიცემა ბურჟუაზიისათვის და ზურგის ქცევა ხალხისაკენ—ეს ბურჟუაზიის მოსარჩლეობა იქნება. ხოლო ფაქტის აღნიშვა, არ დამალვა იმისი, რომ ბურჟუაზია თანდათან გაძლიერდება, სურვილი ამ გაძლიერების გამოყენებისა ხალხის სასარგებლოდ—ეს ამ ხალხის ინტერესების დაცვაა და მოსარჩლეობა.

როგორც წინად, ეხლაც ვამბობ, რომ არც ბურჟუაზიასთან ურთიერთობისათვის გამოდგება ჩვენში **მარტო** და **მხოლოდ** წმინდა კლასთა ბრძოლის პრინციპი. როგორც თავად-აზნაურობის უფლებებით შეიძლება სარგებლობა მოქალაქობრივ წყობილების გაუმჯობესებისთვის, ქართულ ბურჟუაზიის ძალის გამოყენება შეიძლება უცხოელების ეკონომიურ ძალდატანების შესამსუბუქებლად და თვით ეროვნულ დაწესებულებათა გასაღონიერებლად. ჩვენ არამც თუ ვერ წავართმევთ თავადს და ბურჟუას საერთო საქმისათვისსამსახურის სურვილს, პირ-იქით ხელიც უნდა შევუწყოთ ამ სურვილის გაძლიერებისათვის.

ამ რიგად, ჩვენ მიერ დაყენებულ კითხვას რომ დავუბრუნდეთ, საბოლოვოდ უნდა ვსთქვათ:

ეროვნულად გაერთიანებული ჩვენი კლასები და წოდებები იმ დრომდე არიან და იქნებიან, სანამ ყველა კლასებს და წოდებებს **რამე** საერთო ექნებათ. დღეს ამ „რამეს“ საზოგადოებრივის თვით მოქმედების და უცხოელებისაგან ეკონომიურ დამოუკიდებლობის მოპოება და მონიჭება შეადგენს. როცა ეს „რამე“ მოპოვებული იქნება, მაშინ ჩვენს ეროვნულ მთლიანობას სხვა ელემენტები შეადგენენ—ისინი, ვინც ჰქმნიან ეროვნების საფუძველს, სიმდიდრეს, ე. ი., ხალხი. ეს მომავალის საქმეა.

არჩილ ჯორჯაძე

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. ვალდეკ-რუსომ განაგრძო: საპარლამენტო საზოგადო არჩევანი კარზეა მომდგარი. დარწმუნებული ვარ, ამ არჩევანში გამარჯვება რესპუბლიკას დარჩება; დარწმუნებული ვარ, მომავალ პარლამენტს დიდი უმეტესობა ეყოლება და ეს უმეტესობა მარტო რესპუბლიკელებისაგან იქნება შემდგარი და ყოველ საეჭვო კავშირს თავიდან აიცილებს (ტაშის ცემა). რესპუბლიკის დამცველნი მაინც ფრთხილად უნდა იყვნენ. იმის მტრებს არა სძინავთ. რამწამს რესპუბლიკა დაარსდა, იმისი მტრები ყველანი შეკავშირდნენ. ეს კავშირი მეტად ნაირ-ნაირ ჭრელ ხალხისაგან შესდგებოდა, ამიტომ ამ კავშირმა მკაფიო განსაზღვრული სახელიც კი ვერ დაირქვა: ტიერმა „უსახელო დასი“ დაარქვა. შემდეგში ამ დასმა თავისთვის ფირმა ამოარჩია და ზედ აჯანყებული ჯარის-კაცის (მარშალ მაკ-მაჰონის) სახელი დააწერა. ეხლა ნაციონალიზმის სახელით მოინათლა თავი. ეს დროებითი სახელია და მითაა კარგი, რომ ყოველ მოკავშირეს ნებას აძლევს სხვა ამხანაგები მოატყუოს. ამ სახელს მონარქიზმი და ხვალინდელი ცეზარიზმი ამოფარებიან. ნაციონალი აკავშირებს ერთის მხრივ უბრალო კაცად გადაქცეულ არისტოკრატს (როშფორი) და გაამაყებულ დემაგოგს (დერულედი და სხვ.) (ტაშის ცემა). მაგრამ ამ ხეპრულ კავშირის შემთხზველნი მოტყუვდნენ. მეოცე საუკუნის დასაწყისში როიალიზმი, ორლეანიზმი და იმპერიალიზმი სულ მთლად დაემხო, მისი აღდგენა შეუძლებელია. საფრანგეთის დემოკრატიას მოჰბეზრდა დამახინჯებული და გაყალბებული პატრიოტიზმი და რევოლიუციონერობა. ამისთანა ყალბ და დამახინჯებულ პატრიოტიზმსა და რევოლიუციას სამუდამოდ სახელი გაუტყდა ჩვენში (სამჯერ ძლიერ ტაშს უკრავენ და ყვირიან: „გაუმარჯოს ვალდეკს“, „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“).

ინგლისი. ლონდონში ეხლახან ლიბერალური ფედერაცია დაარსდა. 31 დეკემბერს ახალმა ფედერაციამ კრება მოახდინა და ოპოზიციის წინამძღოლი კემპბელ-ბანერმანი და სხვა ბევრი გამოჩენილი ლიბერალი და რადიკალი დეპუტატი მიიწვია. წინადვე იცოდნენ, რომ ოპოზიციის წინამძღოლი ლორდ როზბერის თაობაზე ილაპარაკებსო. ამიტომ ამ კრებას მრავალი ხალხი დაესწრო. სინამ მოხუცებული წინამძღოლი ლაპარაკს დაიწყებდა, მაღლა გალერეიებიდან ძირს პატარ-პატარა ბარათები ჩამოყარეს. ბარათებზე უცნობ ავტორებს დაეწერათ:

„ლიბერალებო და რადიკალებო, გაფრთხილდით! მთელი შეთქმულობაა გამართული, რომ ლიბერალური დასის ეხლანდელი წინამძღოლი პატიოსანი კემპბელ-ბანერმანი გამოცვალონ და მის მაგიერად ლორდ როზბერი დააყენონ... დემოკრატებო! დაამხეთ ლონდონის გაიძვერა დიდ-კაცები, უსათუოდ ალაგმეთ! ძველი ბაირაღის ქვეშ მოგროვდით! როზბერი-როდსის ხმას ნუ მისცემთ ნებას, რომ ეს დიდებული ბაირაღი თავის ხელში ჩააგდოს“.

როცა კემპბელ-ბანერმანი სალაპარაკოდ წამოდგა, დამსწრე ხალხი ძლიერის ტაშის ცემით მიეგება და დიდ ხანსაც არ შესწყდა ეს ტაშის ცემა. ორატორმა სთქვა:

„ამ ჟამად ყველა ლიბერალებს თავდაპირველად ისა სწადიათ, რომ სამხრეთ-აფრიკის ომს, რაც შეიძლება, მალე ბოლო მოუღონ. მგონია, მთელი ჩვენი დასი იმ აზრისაა, რომ ზავის ჩამოგდება მხოლოდ ნებაყოფლობით, შეთანხმებით შეიძლება და არა ძალით, მარტო მოლაპარაკების შემწეობით და არა დამონავებით. ბრიტანიისა და ჰოლანდიის ტომთა შუა მხოლოდ ამისთანა ნებაყოფლობითი ზავი აღადგენს მეგობრობას. ეხლახან ჩესტერფილდში ზავის საქმეს ახალი და დიდი დახმარება გაუწიეს. როზბერის სიტყვაზე მოგახსენებთ, (სუსტი ტაშის ცემა და ძლიერი პროტესტი და სტვენა) ყოველთვის ძლიერ ვნანობდი, რომ როზბერი სამსახურიდან გადადგა; დღემდე ვერც კი გამიგია, თუ რისთვის დაანება მოღვაწეობას თავი. ამიტომ ძლიერ მიხარიან, რომ ეხლა მაინც უბრუნდება პოლიტიკურ ასპარეზს. რამდენჯერმე საჯაროდ და კერძოდაც ვსთხოვე, რომ ისევ ლიბერალურ დასს მოჰმხრობოდა. ეს დასი სიხარულით მიგიღებთ,-მეთქი. აქამდე როზბერი სულ იმას ამბობდა, რომ ჩემთვის დამოუკიდებლად უნდა ვიმოქმედოო, მაგრამ ეხლა კი იმედი მაქვს, რომ მარტოობაზე ხელს აიღებს, ლიბერალურ დასის შეერთებას ხელს შეუწყობს და ეცდება, რომ სამხრეთ-აფრიკაში სამართიანი ზავი ჩამოვაგდოთ. მართალია, გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, ლორდ როზბერის თავისი საკუთარი მესამე დასის დაარსება ჰსურსო. მე არა მჯერა ეს ამბავი. მესამე დასისათვის არც ჩვენ ქვეყანაში, არც ჩვენ პარლამენტში ადგილი არაა. ეს მესამე დასი ჩვენში დიდხანს ვერ იბოგინებს, ხოლოდ გაჰქრება (ტაშის ცემა). ლიბერალ-უნიონისტების მაგალითი საკმაოდ კარგად ამტკიცებს, რომ მართალს მოგახსენებთ. ეს იქით იყოს და ისევ ზავის საქმეს დავუბრუნდეთ. ლორდ როზბერი და მე თითქმის ერთნაირად ვუყურებთ ამ საქმეს. მართალია, თავშესაფარ ბანაკებისა, ჩემბერლენისა და ლორდ მილნერის თაობაზე მე არ ვეთანხმები როზბერის, მაგრამ ეს უთანხმოება არც ისე მნიშვნელოვანია, რომ ლორდ როზბერის ლიბერალურ დასთან შრომა აღარ შეეძლოს“.

კემპბელ-ბანერმანის შემდეგ ლორდ სპენსერმა ილაპარაკა. სპენსერი ლორდთა პალატის წევრ-ლიბერალების წინამძღოლია. ორატორმა სთქვა: კემპბელ-ბანერმანს ყველაფერში ვეთანხმები. ჩემთვისაც მეტად სასიამოვნო ამბავია, რომ ლორდ როზბერი პოლიტიკურ ასპარეზს დაუბრუნდა. იმედი მაქვს, რომ როზბერი ეცდება და ლიბერალების შეერთებას დახმარებას გაუწევს. კრება ძლიერის ტაშის ცემით აჯილდოვებდა ორივე ორატორს, მაგრამ ლორდ როზბერის ხსენებაზე კი ხშირად სტვენა ისმოდა დარბაზში. ამას გარდა დამსწრე საზოგადოებამ დიდი ოვაცია გაუმართა ცნობილ რადიკალ დეპუტატს ლოიდ ჯორჯს და ბურების ცნობილ მოსარჩლეს ქ-ნ ჰობჰოუზს.

შეერთებული შტატები. გახსოვებათ, რომ ამას წინად ნიუ-იორკში მუდმივი სამედიატორო სასამართლო დაარსდა. ამ სასამართლომ კაპიტალისტებსა და მშრომელ ხალხს შუა ატეხილი დავა უნდა გაარჩიოს. ეხლახან ნიუ-იორკში 40,000 კაცს—სულ ტანისამოსის ფაბრიკებში მომუშავეთ—მოეთხოვნათ რომ კაპიტალისტებს ეხლანდელი 9 საათის სამუშაო დღის მაგივრად, 8 საათის სამუშაო დღე დაეწესებინათ. ეს საქმე სამედიატორო სასამართლოს გაურჩევია და კაპიტალისტები და მუშები ამნაირად მორიგებია: მუშებმა ამას იქით 9 საათის მაგიერ $8^{1}/_{2}$-და უნდა იმუშაონ დღეში. ეს ახალი პირობა მუშებსაც და კაპიტალისტებსაც მარტო ერთის წლის ვადით დაუდვიათ. სასამართლოს თავმჯდომარედ განსვენებული მაკ-კინლეის მეგობარი, ცნობილი სენატორი ჰანნა ყოფილა არჩეული.

სამხრეთ-აფრიკა. ბურების სარდალი შეფერსი გრააფრეინეტში თოფით დაუხვრეტიათ. შეფერსი სულ 23 წლის ყმაწვილი კაცი იყო. კაპის კოლონიაში იყო დაბადებული და გაზრდილი. კაპშტადტის უნივერსიტეტი დაესრულებინა. ყველანი აქებდნენ, ძლიერ ნასწავლი კაციაო. დაესრულებინა თუ არა უმაღლესი სწავლა, კაპის კოლონიიდან ორანჟეს რესპუბლიკაში გადასახლებულიყო. იქაურ სახელმწიფო სამსახურში შესულიყო და ბოლოს იქაური მოქალაქეობაც მიეღო. როცა 1899 წელს სამხრეთ-აფრიკის ომი დაიწყო, შეფერსიც ჯარში შევიდა. მალე ჭაბუკმა მეომარმა ისე ისახელა თავი, რომ ქრისტიან დევეტმა თავის ლეიტენანტად დანიშნა. წარსულ წელს მარტში, დევეტი რომ კაპის კოლონიაში შეიჭრა, შეფერსიც იმისთანა იყო. ბოლოს ხომ დევეტი უკან ორანჟეს რესპუბლიკაში დაბრუნდა, შეფერსი კი თავისის პატარა რაზმით კაპის კოლონიაში დარჩა და სწორედ საქმეს უჭირვებდა ინგლისელებს. მეტად მხნედ, მოხერხებულად იქცეოდა; ზღვამდეც კი ჩავიდა. მისი რაზმი თან-და-თან იზრდებოდა და ბოლოს შეფერსს—500—600 კაცი ჰყვანდა თავისი ხელ-ქვეშ. ესენი სულ 23 წლის შე-

---

დედა-შვილიც სთანხმდებიან, თუმცა კი უკმაყოფილონი არიან. გიორგი ამ უკმაყოფილებასაც მალე ჰსპობს თავის კანონიერ მეუღლისაგან მოტაცილის ფულით: ეფემიას დედას ოცს თუმანს აძლევს და სთხოვს სოფლიდან თავისი პატარა ვაჟი-შვილი ჩამოიყვანოს, რომ აქ გიმნაზიაში მიაბარონ. მე არა მსურს, რომ ჩემი ცოლის ძმა უსწავლელი სოფლის კაცი იყოსო—ამბობს გიორგი. დედა სიხარულით ასრულებს ამ წინადადებას და გიორგი და ეფემია მარტონი რჩებიან ქალაქში. ჩვენის გმირების კავშირი დიდი ხანი ველარ გრძელდება ამის შემდეგ. ერთს დილას გიორგის კანონიერი ცოლი მოექრება ეფემიას და მტრულად გამოუცხადებს თავის ვინაობას. ამ გარემოებით უეცრივ ეხდება ფარდა ეფემიას მდგომარეობას, ეფემია ჰხედავს, რა ღრმად მოტყუვდა და იმის სასოწარკვეთილებას სიგიჟის ელფერი ეძლევა.

ამის შემდეგ მოთხრობის ავტორი მხოლოდ ერთხელ-ღა გვაჩვენებს თავის გმირს, ეფემიას. ეფემია ერთს მდიდარს ნავთის მწარმოებელს პირობას ართმევს, რომ ის არ დაჰზოგავს და შეავიწროებს, რამდენადაც კი შესაძლოა. ავტორი არ გვეუბნება, ვის შევიწროებას ითხოვს ეფემია, მაგრამ მკითხველისთვის უამისოდაც ცხადია, რომ შურის ძიებით გატაცებულს ქალს მხოლოდ გიორგი ეყოლება სახეში და სხვა არავინ. თუ ჩემი თავი გინდა, ასე მოიქეციო, თხოულობს ეფემია. ავტორი არც იმას გვატყობინებს, მიაღწია თუ არა ეფემიამ მიზანს, აასრულა თუ არა ნავთის მწარმოებელმა თავისი პირობა, ის მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ეფემიამ კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლაო.

—

ჩვენის რეალისტ-ბელლეტრისტების ერთი უდიდესი ნაკლულევანება ის არის, რომ მათს გმირებს მუდამ თითქოს სიცოცხლე, თითქოს სული აკლიათ. ტენდენციურს რეალიზმს, რომელიც ჰმეფობს დღემდე ჩვენს მწერლობაში, ყველგან და ყოველთვის ის თვისება დასდევს თან, რომ მწერლის თვალში მოთხრობის თუ რომანის გმირი კი არ არის მატარებელი ზნეობრივისა და აზრთა განსაზღვრულის განწყობილებისა, პირიქით, თითონ ეს განწყობილება ჰხდება გმირის მატარებლად და ბატონად. ჩვენს მკითხველს არა ერთხელ ექმნება ნანახი მდიდრულს და მოხდენილს ჩარჩოში უშნო და ულაზათო სურათი; სურათი ამ შემთხვევაში ჩარჩოს მოსართავად ჰხდება იმის მაგიერ, რომ ჩარჩო იყოს სურათის მოსართავი. სწორედ ასეთივე უკუღმართობა მოსდევს თან ტენდენციურის რეალიზმის მოძღვრებასაც. ბელლეტრისტის უპირველესი განზრახვა და მისწრაფება ის არის ან ის უნდა იყოს, რომ ადამიანის სულის სხვა-და-სხვა ნაზი ვითარება გადასცეს მკითხველს და ადამიანის გულის სიღრმეში ჩამალული საიდუმლოებანი გამოააშკარაოს. როდესაც მწერალი სცდილობს თავისი შემოქმედებითი ნიჭი ისე აწარმოვოს, რომ მისგან შექმნილი გმირები რამე განსაზღვრულის აზრის, ტენდენციის დამამტკიცებელს საბუთებად გადაიქცნენ, მაშინ ამ გმირებს ჩონჩხის, აზრთა კარიკატურის ხასიათი ეძლევიან, მაშინ გმირები თითქოს ადამიანები კი არა, ადამიანის გარეგნობით მოკაზმული აზრები და მისწრაფებანი ღა არიან. მომეტებული ნაწილი ჩვენის ბელლეტრისტებისა თუ კეთილ სინდისიურს ადამიანის სურათს ჰხატავს, ისე შეამკობს ხოლმე იმას, რომ ეს განხორციელებულს სათნოებად ჰხდება, და თუ ბოროტი ადამიანის დასურათება განიზრახა, მაშინ ისეთს ქვიანს გულს და წამხდარს ხასიათს მისცემს იმას, ისე სამუდამოდ გამოასალმებს სიკეთის ყოველივე ფორმას, რომ გმირი დამთავრებულ ბოროტების დედად გეჩვენებათ. ნამდვილად კი ადამიანი რამდენადმე ბოროტებისაც და სიკეთისაც ორივეს მონაწილეა, და, რა ხასიათს მიიღებს იმისი მოქმედება ამა თუ იმ შემთხვევაში, ეს ხშირად ისეთის მცირე გარემოებისაგან არის დამოკიდებული, რომ წინასწარმეტყველება თითქმის შეუძლებელია. ბელლეტრისტის ვალია, დაგვისურათოს ადამიანის სულის მოძრაობა და ამიტომ იმისი ფანტაზია ისეთს არ უნდა ჰქმნიდეს გმირებს, რომელთაც იმ თავითვე გარკვეული და გაკვეთილი მიმართულება აქვთ... ბელლეტრისტმა თავისი გმირები ისეთს მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს, რომ იმათი სული და გრძნობა მოძრაობდეს, აზრი დაუღალავად ჰმოქმედობდეს და იმათს გულში სიკეთესა და ბოროტებას ბრძოლა ჰქონდეთ ერთმანეთთან, ერთი სიტყვით მწერალმა ცოცხალი ადამიანი უნდა წარმოგვიდგინოს და არა გაადამიანებული აზრი ან გრძნობა. გაკვრით ვიტყვით, რომ შემცდარია ის შეხედულება, ვითომც ეს მოთხოვნა რეალიზმის მოძღვრებისაგან მომდინარეობდეს. ჩვენის აზრით, ამას სხვა უფრო ღრმა საფუძველი აქვს, რომლის შესახებაც ცალკე გვექნება საუბარი მკითხველთან, ეხლა კი თვით მოთხოვნის აღნიშვნაც საკმარისად მიგვაჩნია.

ჩვენდა სასიქადულოდ, ბ. ლალიონის მოთხრობის გმირი, ეფემია, ჭეშმარიტად ცოცხალი ადამიანია, იმის გულს არც სრული უმანკოება ეთქმის, არც სრული სათნოება; ავტორი ეფემიას ხშირად აყენებს ისეთს მდგომარეობაში, რომელიც ეფემიას სულს და გულს მთლად ამოძრავებს, რამდენჯერმე „ყოფნა არ ყოფნის“ საგანსაც კი არკვევინებს. მოთხრობის უკანასკნელი თავები, რომლებშიაც ეფემიას დრამატიულს მდგომარეობას ფარდა ეხდება, მშვენივრად და მოხდენილად აქვს დაწერილი ავტორს. ჩვენ მხოლოდ ის ნაკლულევანება შეგვიძლიან აღვნიშნოთ, რომ ბ. ლალიონი ხშირად ისეთს ადგილას სწყვეტს თავის გმირის სულის ისტორიის მოთხრობას, როდესაც ბრძოლა, მღელვარება და შფოთი უმაღლესს ხარისხამდე უნდა ადიოდეს: ლალიონს თითქოს თა-

ფერსი ყველაზე უფროსი იყო მთელ რაზმში: ინგლისელები ვერას დროს ვერ დაიჭერდნენ, ახალგაზრდა სარდლის „ბედის ვარსკვლავს“ რომ არ ემტყუნა. შეფერსი ავად გახდა. ისე დაჭრია ხელი ამ წყეულმა ავადმყოფობამ, რომ თავის რაზმთან სიარული ვეღარ შეეძლო; ამიტომ თავის ბადლად რაზმის უფროსად სხვა დანიშნა და თითონ ორიოდე ამხანაგი გაიყოლა და ერთ ფერმაზე წავიდა დასაწოლად. გზაში ინგლისელები დაჰხვდნენ, დაატყვევეს და სამხედრო სამართალში მისცეს. რადგანაც შეფერსი ორანჟის რესპუბლიკის მოქალაქე იყო, ამიტომ სასამართლოს ნება არა ჰქონდა, ჭაბუკი სარდალი აჯანყებულად, ან მოღალატედ ჩაეთვალა, მაგრამ სასამართლომ ბევრი რამ სხვა შარი მოსდო და ნიჭიერ სარდალს სიცოცხლე მოუსპო. გაზეთები სწერდნენ, შეფერსს სასამართლოშიც თავმომწონედ ეჭირა თავი. თითონ ინგლისელი კორესპონდენტები აქებდნენ: „ისე ეჭირა თავი, როგორც ნამდვილ ინგლისელ კაცსაო“.

შეფერსს მტკიცედ სწამდა, რომ ბურები უსათუოდ შეჰმუსრავდნენ ინგლისის მხედრობას და მთელ სამხრეთ-აფრიკაში თავისუფალ შტატებს დააარსებდნენ. თავის ახალგაზრდა ამხანაგებს სულ იმას ეუბნებოდა, რომ კაპშტატში ჩემის საკუთარის ხელით უნდა გავშალო ამ თავისუფალი შტატების ბაირაღიო. ჭაბუკმა სარდალმა დიდი ამაგი დასდო ბურების მართალ საქმეს და ბოლოს სიცოცხლეც კი მსხვერპლად შესწირა...

ახალი ამბავი

◆ „კავკაზ“-ის ცნობებით გარდაცვალებულის ინჟინერის ე. ლ. ვედენეევის მაგიერ ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსად ინიშნება ნჟენერი **გოლკოვი**. ჩვენ მიერ შეკრებილ ცნობებით კი ამ თანამდებობაზე ინიშნება კასპის იქეთა მხარის რკინის გზის უფროსი.

◆ „კავკაზ“-ს თუ დაუჯერეთ, ქუთაისის გუბერნიის მმართველს **არ დაუმტკიცებია** ბათუმის ქალაქის თავად ახლად არჩეული თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

◆ ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტმა დანიშნა განსაკუთრებული სხდომა, რომ გაარკვიოს კითხვა, როგორი ტიპის სამრეწველო **სასწავლებლის** უფრო სასურველი, რომ ტფილისში გაიხსნას. ამის გამო კომიტეტმა შეჰკრიბა ყოველგვარი ცნობა მაზე, თუ რა მდგომარეობაშია ქალაქში მრეწველობის საქმე, ან რა ნაკლულევანება აქვს.

◆ 9 იანვარის სხდომაზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ტფილისის გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნეს ტფილისში ქალაქის ხარჯით **საადრესო სტოლი**. გამგეობამ გარდასწყვიტა წარუდგინოს ეს წინადადება ტფილისის ქალაქის საბჭოს განსახილველად იმ მოსაზრებით, რომ ეხლა დროა ქალაქის თვით-მმართველობამ გადასდოს საჭირო თანხა საადრესო სტოლის დაარსებისა და შენახვისათვის.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა შეიმუშავა დადგენილება **საადრესო სტოლის** შესახებ. ამ დადგენილებიდანა სჩანს, რომ მთელი ხარჯი საადრესო სტოლის მოწყობისა და შენახვისა უნდა დაჰფაროს სტოლის შემოსავალმა. ამასთანავე მოხსენებულია, რომ თითო ცნობის მიღებისთვის უნდა გადაიხადონ 5 კაპ., ხოლო საადრესო ფურცელში —$1/_2$ კაპ., როგორათაც სხვა ქალაქებშია. მთელი ხარჯი საადრესო სტოლისა გამოანგარიშებულია 6,000 მან. წელიწადში, აქედან: 10 საპოლიციო უბანში ათი გადამწერის ჯამაგირი—3,000 მან. (თვეში თითოს 25 მან.); თითონ სტოლის მოსამსახურეთ 2,000 მან., აქედან: სტოლის გამგეს—800 მან. (განზრახვა აქვთ, ეს პირი პეტერბურგიდგან გამოიწერონ.), ოთხ მწერალს—თითოს 25 მ. თვეში—1,200 მან. და 1,000 მანეთიც—სახლის ქირა, ორი მოსამსახურის ჯამაგირი და სხვა წვრიმალი ხარჯი.

◆ „ბირჟ. ვედომ“-ს სიტყვით, მიწადმოქმედების სამინისტროს გარდაუწყვეტია გამოიკვლიოს—ნამდვილად არის თუ არა **ოქრო გიდანის ხეობაში** და მდ. თეზამის ნაპირებზე; ამისათვის განკარგულება მიუცია კავკასიის სამთო მმართველობისათვის გაგზავნოს სპეციალისტი იმ ადგილების შემოწმება-გამოკვლევისათვის.

◆ ამავე გაზეთის სიტყვით, ამ ჟამად რუსეთის შიდა გუბერნიების მეფაბრიკეები ბევრ **ბამბას** თხოულობენ ამიერ-კავკასიიდან, რის გამო ბამბის ფასი ფუთზე 9-10 მანეთამდე ავიდა.

◆ საქართველოს ახალს ეკზარხოსს მოუთხოვნია ცნობები ქალაქის ყველა ქალთა და ვაჟთა სასწავლებლებისაგან მაზე, თუ როგორ არის დაყენებული იმ სასწავლებლებში **საღმრთო წერილის სწავლება.**

◆ როგორც გადმოგვცეს, ადგილობრივ სასულიერო მთავრობას განუზრახავს აღძრას საკითხი იმის შესახებ, რომ მართლმადიდებლობის აღმადგენელ საზოგადოების ხარჯითა და მეცადინეობით დაარსებული სკოლები **ჩამოერთვას** აღნიშნულ საზოგადოებას და ამ სკოლების საქმეების მართვა-წარმოება დაექვემდებაროს საეპარქიო სამრევლო სკოლების გამგე საბჭოს.

◆ სამშაბათს, 15 იანვარს, დანიშნულია კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საზოგადო კრება რამდენიმე მიმდინარე საქმეების განსახილველად. სხდომა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

◆ ამას წინად კავკასიის სამეურნეო გამოფენის ყოფილმა კომისარმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას **ექსპონენტებიანთ სამეურნეო საზოგადოებისათვის** ის 2600 მ., რომელიც ერგება გამგეობას წყლის ხმარებისა და საექიმო ლაბორატორიაში ექსპონატების ანალიზების გაკეთებისათვის, რადგანაც სამეურნეო საზოგადოებას ზარალი მოუვიდა გამოფენის გამართვით. გამგეობამ გარდასწყვიტა, ეს საქმე გადასცეს განსახილველად იმ ხმოსანთა კომისიას, რომელიც მონაწილეობას იღებდა გამოფენის გამართვის საქმეში. კომისიამ უნდა წარუდგინოს გამგეობას მოსაზრება, თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნულ ვალის პატიება.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიუროს **გოგირდისა** და სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღების გაყიდვით 1901 წლის განმავლობაში წმინდა მოგება ჰქონია 4,300 მანეთამდე.

◆ მოგვყავს შემდეგი **საყურადღებო** ციფრები კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოღვაწეობიდან: სხვა-და-სხვა საჭირო წამლებისა, იარაღების და მასალის გამოწერისათვის საზოგადოებას 1900 წლიდან დარჩენილი ვალი სავაჭრო ფირმებისა 1901 წლის 1 იანვრისათვის ჰქონია 85,000 მან., წლის გავმავლობაში საქონელი გამოუწერია სულ 24,000 მან. სულ 109,000 მან.; 1901 წლის განმავლობაში საზოგადოებას გაუსტუმრებია ვალი 85,000 მან. ასე რომ 1902 წლის 1 იანვრისთვის ვალი ჰქონია 24,000 მან.

1901 წლის 1 იანვრისათვის სამეურნეო საზოგადოებისა მოვალეებს მართებიათ—21,000 მანეთამდე. საანგარიშო წლის განმავლობაში წაუღიათ ნისიათ საზოგადოების ბიუროსაგან სხვა-და-სხვა საქონელი სულ—43,000 მან. სულ 64,000 მან. აღნიშნულ 1901 წლის განმავლობაში მოვალეებს საზოგადოებისათვის გადაუხდია სულ 39,000 მან. ასე რომ 1902 წლის 1 იანვრისთვის მოვალეებზე დარჩენილა სულ 25,000 მან.

◆ 9 იანვრის სხდომაზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ გარდასწყვიტა ქალაქის **შემოსავალ-გასავლის საქმეების** მართვა-გამგეობა მიენდოს გამგეობის წევრს ე. ი. ხოსროევს, ხოლო საბუხჰალტერო ნაწილისა და კასის საქმეების მართვა მინდობილი ექნება ქალაქის მოურავის მოადგილეს ბ-ნ შესტაკოვს.

◆ სამედიცინო დეპარტამენტმა წინადადება მისცა გუბერნატორებს, რომ ყველა აფთიაქების პატრონებს და იმ აფთიაქებში მოსამსახურე ფარმაცევტებს განუმარტონ სენატის ბრძანება, 10 დეკემბ. 1890 წ. №-9798, რომლითაც ყველა ფარმაცევტები **ვალდებულნი არიან**, ჩაეწერნენ რუსეთის ფარმაცევტთა ურთი-ერთ დამხმარებელს საზოგადოებაში და ამ საზოგადოების კასსაში იხადონ არსებული გარდასახადი. ამასთანავე შინაგან საქმეთა მინისტრმა დაავალა საექიმო გამგეობათ, რომ იმათ, ზემო მოყვანილ საზოგადოების წარმომადგენელის მოთხოვნილების მიხედვით, აძლიონ ხოლმე ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ფარმაცევტი მსახურობს ანუ რამდენი რეცეპტი შედის აფთიაქებში.

◆ გუშინ საღამოს დანიშნული კრება ქალაქის საბჭოსა ჩვეულებრივად არ შესდგა.

◆ ამას წინად ტფილისის მოქალაქემ კანდაუროვმა მიჰმართა თხოვნით ქალაქის გამგეობას, რომ გამოეკვლიათ მექანიკურ ფურნეში ნაცხობი პურის თვისება და, თუ მოიწონებენ მას, ნება მიეცათ მისთვის ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილებში პურის გასასყიდ **სადგომების** გაკეთებისა. ქალაქის გამგეობამ განიხილა სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის მოხსენება, რომ ეს პური საუკეთესოა და გარდასწყვიტა, მოსთხოვოს მოსაზრება სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველს, თუ სად უფრო უკეთესი იქნება ნება მიეცეს კანდაუროვს გამართოს პურის გასასყიდი სადგომები.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ მას არასფერი საწინააღმდეგო არ ექნება, თუ ქალაქის გამგეობა თეატრის ქუჩას, საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ, დაარქმევს **გრიბოედოვის** სახელს.

◆ კარგი დარების გამო, ქალაქში ყინულიც გაძვირდა. თითო ურემი ყინული, რომელიც გლეხ-კაცობას მოაქვს წყნეთის ხევებიდან, ღირს **სამ მანეთად**. ურემში ოცდაათ ფუთამდე ყინული გამოვა.

◆ გუბერნატორმა განკარგულებ მოახდინა, რომ **პირველ თებერვლიდან** შემოღებულ იქმნას სავალდებულო დადგენილებანი შესახებ ხორცის ხარისხებად დაყოფისა და გაყიდვისა.

◆ 8 იანვარს, ღამით ტფილ. პოლიციამ **დაატუსაღა** ტფ. მოქალაქე არტემ მიქელოვი, რომელმაც 1899 წელს ავაზაკობა ჩაიდინა და მას შემდეგ იმალებოდა.

◆ გამოვიდა რუსულის ჟურნალის „კავკ. ვესტნიკ“-ის 1-ლი ნომერი, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია: „მეკვლე“ საახალწლო ამბავი ქართულიდან. ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“ ს. ა—ს თარგმანი; ყაზბეგის „მოძღვარი“ თავ. **ი. გაზარაშვილის** თარგმანი და სხვა.

◆ **ბ. გედევანიშვილის საავადმყოფოში** გაიხსნა ექიმების ღამით მორიგეობა, რომელიც გაგრძელდება საღამოს 9 საათიდან დილის 7 საათამდე.

შეცდომის გასწორება. გუშინდელს ნომერში მესამე სვეტში, პარიზის დეპეშაში დაბეჭდილია: „ინგლისელებს აქამომდე უჭირავთ ხელში ყველა ნაყოფიერი ადგილები სეადან დაწყებული ჩადამდე“ (**ამერიკაში**)... უნდა იყოს (**აფრიკაშია**).

ქუთაისის ახალი ამბები

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობა ამ ბანკში დაგირავებულ მამულებზე, დანიშნულია 200 თებერვლისთვის, ხელმეორედ ვაჭრობა კი—20 მარტს.

ქუთაისის გუბერნიის ტყის მცველების უფროსს რევიზორს ა. გ. ვუჩინოს შეუდგენია წიგნისთვის (ჩვენებური ქვა-ღობით) მოვლა-გამრავლების შესა-

---

ვისი-თავის იმედი არა აქვს, ის თითქოს ვერა ჰბედავს თავისუფლად გადაშალოს მკითხველის წინაშე ეფემიას სულის მოძრაობის კალთები, და ხშირად თითონ მკითხველს აიძულებს ისეთს ვითარებაზე იფიქროს, რაც მოთხრობაშივე უნდა ყოფილიყო დასურათებული ავტორის მიერ. მოულოდნელის წერტილის დასმით მწერალს მართლა შეუძლიან მკითხველის გრძნობა და აზრი აამოძრავოს, მაგრამ ამ საშუალებას ნაკლებად უნდა მიჰმართავდეს ხოლმე მწერალი.

არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ თვით მოთხრობის კანვაც საუცხოვოდ არის განზრახული. ერთის მხრივ სიმდიდრის მოყვარული გულ-უბრყვილო ეფემია, რომლის გულშიაც ხელ-უხლებლად არის დაცული ზნეობა, და მეორეს მხრივ ვაჭრობაში მოქნილი გიორგი, რომელიც ყოველივეს სიამოვნების მოსაპოებელ საშუალებად ჰხმარობს. იმათი დაპირისპირება—სინამდვილეა ისე, როგორც იმათი შეყრა; იმათი განხეთქილება—ბუნებრივი ნაყოფია გიორგის გათახსირებულის, მოქნილის ზნეობრივის განწყობილებისა. ეფემიას შურისძიება—ღრმად შეურაცხყოფილის ადამიანის ერთად-ერთი გზაა.

რამდენადაც სრულია და ბუნებრივი ეფემიას პიროვნება, იმდენად ხელოვნურად და ნაძალადევად გვეჩვენება გიორგი. მოთხრობის პირველს ნაწილში გიორგი ისეა დასურათებული, როგორც პატიოსანი ადამიანი; მეორე ნაწილში კი იმას ზნეობისა არაფერი აცხია. თუ გიორგი პირველათვე იმ განზრახვით დაუახლოვდა ეფემიას, რომ იმის მშვენიერს ტუჩებზე სიყვარულის ვარდი მოეწყვიტა, წუთიერი სიამოვნება ეგრძნო—მაშინ გიორგის მოთხრობაში ეპიზოდიური ადგილი უნდა ეჭიროს, მკითხველისათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ის თვალთ-მაქცობს, სიყვარულის გრძნობას ისე ეთამაშება, როგორც გარყვნილების სკოლაში გამოვლილს კაცს შეჰფერის. ლალიონი კი არსად ამას არ გვეუბნება. თუ გიორგის მართლა უყვარდა ეფემია, თუ მართლა მზად იყო იმისთვის თავისი სიმდიდრე გაეწირა, მაშინ გიორგის ასე ადვილად, ასე უბრალოდ არ უნდა გაეწირა ახალგაზრდა ეფემია და დამატყვევებელი სილამაზის პატრონი ასეთის გულქვაობით არ უნდა გაეცვალა მზითვიანს გონჯზე. ლალიონის მოთხრობაში გიორგის პიროვნება ნაკლების სინამდვილით არის დასურათებული. მკითხველისთვის გიორგი რაღაც უსულო ჩონჩხია, რომელმაც არც სულიერი ბრძოლა იცის და არც ადამიანურ გრძნობათა მოძრაობა. ჩვენს მწერლებს საერთოდ არ ეხერხებათ ბოროტი ადამიანის ბუნების დახატვა, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ბ. ლალიონს ეს არ გაუძნელდებოდა, მეტის მეცადინეობით რომ მოჰკიდებოდა თავის მოთხრობას. ბელლეტრისტს მუდამ სახეში უნდა ჰქონდეს, რომ არც ბოროტება და არც სიკეთე დაუსურათებულად, დახატულად არ ჩაითვლება, ვიდრე იმათი სარჩული—ადამიანის განწყობილება, ფიქრი და აზრი არ იქნება გამორკვეული. ლალიონმა საუცხოვოდ დასძლია ეფემიას რთული და ძნელი გამოსაცნობი ბუნება, იმისი გული ნათლად გადუშალა თვალწინ მკითხველს, მაგრამ გიორგის პიროვნება კი ისევ წყვდიადით არის მოცული. როგორც ძველებურმა დრამამ იცოდა deus ex machina, ისე ეხლანდელმა ქართულმა მოთხრობებმა შეითვისეს ისეთის გმირის გამოყვანა, რომელთაც ერთად ერთი დანიშნულება აქვთ—მოთხრობის მოქმედება წასწიონ წინ. ეს გზა ახალგაზრდა მწერლისთვის ეკლიანი გზა არის, ამ გზაზე ადვილია ნიჭის დაჩლუნგება და ფანტაზიის გაყალბება. ვინც ბელლეტრისტის კალამს სჭიდებს ხელს, ის მთელის თავისის ძალღონით უნდა ეწინააღმდეგოს ამ ნაძალადევს საშუალებას... ისევ ის სჯობია, მოთხრობა დაუსრულებელი იყოს და მოქმედებას განვითარება აკლდეს, ყალბის გმირების გამოყვანას. ბ. ლალიონს რომ გიორგი სრულიად განედევნა მოთხრობიდან, მას შემდეგ, რაც იმან თავის დანიშნულს თავი მიანება და ვაჭრობის გამოსაკეთებლად ქალაქში გასწია, მაშინ ეფემიასთვის ამ კაცს შემთხვევითი, ეპიზოდიური ხასიათი ექნებოდა და მოთხრობისთვის იმის პიროვნების დასურათება აუცილებლად საჭირო არ იქნებოდა, მაგრამ ეხლა კი ეს ლალიონის ვალი იყო და ტყუილად აუქცია ჩვენმა ავტორმა ამ მოვალეობას მხარი.

დასასრულ აღნიშნავთ, რომ ბ. ლალიონს არც პსიხოლოგიური ანალიზი უჭირდება და არც ცხოვრების დაკვირვების უნარი აკლია. შიგა-და-შიგ სოფლის ცხოვრების მშვენიერს სურათებს ჰხატავს და ოდნავ აზავებს იმათ თავის ფხიანის იუმორით. მოთხრობის პირველს თავშივე ეფემიას დედის შესახებ ლალიონი ამბობს: „პატიოსნებასა და კეთილშობილებაზე მას ახირებული წარმოდგენა ჰქონდა. სასირცხოდ მიაჩნდა, მაგალითად, მას, თუ სტუმარს კარგად ვერ გამოათრობდა, ხოლო ცხოვრებისთვის საჭირო საშუალებას რა გზითაც მოიპოვებდა, სულ ერთი იყო“. ეს ნაზის, ოდნავ შესამჩნევის იუმორით შეზავებული დახასიათოვნება ბ-ის ლალიონის ნიჭის უტყუარი მოწამეა და, თუ ამ ნიჭმა ფრთა გაშალა, ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა შესამჩნევად წინ წაიწევს.

„კვალშივე“ დაისტამბა წარსულს წელს ეგ. ნინოშვილის დაუმთავრებელი მოთხრობა „ცოლი და ქმარი“, რომელიც იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ აქ ჩვენი დაუვიწყარი მწერალი იუმორისტის საკმაოდ ძლიერს ნიჭს იჩენს. ვინ იცის, რომ დასცლოდა, იქნება სულ ხელი აელო ბ. ნინოშვილს წრესგადაცილებულ ტენდენციურს მიმართულებაზე და სამაგიეროდ თავისის იუმორით შეემკო ჩვენი მწერლობა.

ფანგი

(შემდეგი იქნება)

ხებ. ბ. ვუჩინოს აზრით, ამ მცენარის კულტურის შემოღებას ამიერ-კავკასიაში და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში დიდი მომავალი მოელის. ჩინეთში და იაპონიაში, სადაც სოიას კულტურა პირველად იქმნა შემოღებული, ამ ჟამად დიდი სარგებლობა მოაქვს. მარტო იაპონიაში ერთ-მილიონ ნახევარ ქცევაზე მეტს სთესვენ სოიას, რომლიდანაც იაპონელები ამზადებენ სხვა-და-სხვა საჭმელებს, განსაკუთრებით კი უფრო ეტანებიან მთელს დედა-მიწის ზურგზე განთქმულ ნაშარაბის დაგვარად დამზადებულ საწებელ „სოიას“. გარდა ამისა სოიას ჰფქვავენ და აცხობენ პურს. როგორც ქიმიურ გამოკვლევიდან სჩანს, ნოყიერებით სოია ბევრად სჯობნის პურს და სიმინდს.

დაბა-სოფლები

უჯარმიდან (ტფილისის მაზრა) გვატყობინებენ, რომ ამას წინად იქ ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გაუტეხიათ უჯარმის ეკკლესია; უნახავთ საფულე ყუთი და იქიდან ამოუღიათ 30 მან. ქურდს ხელი არ უხლია სხვა ნივთებისათვის, თუმცა იქვე ოქროსა და ვერცხლის ნივთები ყოფილა. ეკლესიის გატეხისთვის აურჩევია ის დრო, როცა ეკლესიის დარაჯისათვის ეკლესიის ერთს მსახურთაგანს რაღაც კერძო საქმე მიუნდვია და ამით მისი ვალდებულების აღსასრულებლად ხელი შეუშლია.

—

ონიდან იწერებიან, რომ იქ განუზრახავთ ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების დაარსება. საზოგადოების პროექტი უკვე შეუდგენიათ და წარუდგენიათ დასამტკიცებლად ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციისათვის.

—

საჩხერიდან გვწერენ: ათის წლის წინად ს. ჭალის მცხოვრებმა ი. ა—ძემ მიათხოვა თავისი ქალი გ—ძეს. რადგანაც ჯვარის წერის დროს ქალის მამას სრულად სამზითვო ფული არ ჰქონდა, სასიძოს ერთს ნათესავთაგანს ს. გ—ძესათვის 1000 მანეთში 3000 მან. ვექსილის ქაღალდი მიუცია, სოფლის ჩვეულებისამებრ იმ პირობით, რომ თუ ექვსი თვის განმავლობაში ათას მანეთს არ გარდაიხდიდა ა—ძე სიძის სასარგებლოდ, მაშინ ს. გ—ძე ა—ძეს გარდაახდევინებდა 3,000 მან. ა—ძეს სამზითვო ფული სიძისათვის დროზედ მიუცია, ხოლო ს. გ—ძეზე გაცემული ვექსილი დავიწყნია და აღარ გამოურთმევია. ს. გ—ძე ეს რამდენიმე წელიწადია გარდაიცვალა. მისმა შვილებმა გაიყვეს მამის დანატოვარი ქონება და სხვათა შორის ნახეს მამის ქაღალდებში ის ვექსილიც. ამ დრომდე ს. გ—ძეს მემკვიდრეებს ეს ვექსილი არ გამოუჩენიათ და ეხლა სასამართლოში საჩივარი განუცხადებიათ ი. ა—ძეზე 3 ათასი მანეთი თავნი და სარგებელი 2 ათასი, სულ 5000 მ. მართებს და ჩვენს სასარგებლოდ გარდაახდევინეთო. არ ვიცით, სასამართლო როგორ შეჰხედავს ამ საქმეს, მაგრამ თვით ფაქტის ზნეობრივს მხარეს განმარტება არ სჭირიათ.

—

სამტრედია. მოაწია თუ არა იანვარმა, სამტრედიაში გამოჩნდა სხვა-და-სხვა ტომის ხალხი—სომეხი, ბერძენი, თათარი, ფრანგი და სხვა, რომელნიც აბრეშუმის გრენის მუშტრებს. ჯერჯერობით აბრეშუმის გრენას ღებულობენ საკომისიოდ ადგილობრივ ვაჭრები. სამწუხაროდ ამ ვაჟბატონებს მხოლოდ ის აინტერესებთ, რომ რაც შეიძლება დიდ ფასებში გაასაღონ თითეული კოლოფი გრენი და იმისი დარდი კი არა აქვთ, შესძლებენ თუ არა ამ დროიდან აღებულ გრენის რიგიანად შენახვას.

საზოგადოდ, ადგილობრივი ვაჭარი იმნაირად ინახავს გრენას—თევზიან, ნავთიან, ტყავებთან და სხვა ცუდ სუნიან საქონელთან ერთად, რომ მთლად ერთიანად ფუჭდება იგი. მეაბრეშუმე იძენს დაბეჭდილ კოლოფს და ის კი არ იცის, რომ შიგ დახოცილი ჭიებია. ამ გარემოებას არა ერთხელ მიაქციეს ყურადღება, ვისაც ჯერ არს, მაგრამ არ იქმნა და არა. ვაჭრები თავისას არ იშლიან. იმის შესახებ თუ რა რიგად უნდა მოეწყოს აბრეშუმის გრენის გაზაფხულამდე რიგიანად შენახვის საქმე დ. სამტრედიაში, წარსულ წელს მოხდა ადგილობრივი მეაბრეშუმეთა და პარკის მყიდველთა კრება, რომელზედაც დადგენილი იქმნა, სხვათა შორის, ეთხოვოს სათანადო მთავრობას, რომ აშენდეს დ. სამტრედიაში საგანგებო სახლი, სადაც ჭიის გამოსვლის დრომდე უნდა ინახებოდეს აბრეშუმის გრენა შესაფერად. მაგრამ დღემდე არ ვიცით რა შედეგი მოჰყვა ჩვენ დადგენილებას და თხოვნას. წარსულ წლის მეაბრეშუმეობამ მაინც-და-მაინც ბევრი სარგებლობა ვერ მისცა ჩვენს მეაბრეშუმეებს, მაგრამ სხვა სასოფლო-მეურნეობის დარგთან შედარებით უფრო კარგი იყო. ფუთი ნედლი პარკი 13—16 მანეთამდე ისყიდებოდა. პარკის მოსავალი სხვა წლებთან შედარებით ნაკლები იყო.

რუსეთის ქრონიკა

∝ 5 იანვრიდან დაიწყო პეტერბურგში ფინანსთა სამინისტროს კომერციულ სასწავლებელთა დირექტორების კრება.

∝ უწმინდესმა სინოდმა განმარტა, რომ სასულიერო აკადემიების პირველ კურსებზე სტუდენტების მიღების დროს გარჩევა არ უნდა იყოს სასულიერო სემინარიებისა და საერო სასწავლებელთა შეგირდებს შორის და რომ აკადემიის საბჭოსაგან დანიშნული საცილობელი ეგზამენები სხვა და სხვა საგნებისა უნდა ხდებოდეს ყველა ამ მოწაფეთათვის საერთო წეს-რიგითა და მოთხოვნილებით („რუს. ვედ“).

∝ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის პ. ნ. დურნოვოს თავჯდომარეობით დაარსდა სხვა და სხვა უწყებათა და სამეცნიერო საზოგადოებათა წარმომადგენლების კომისია, რომელსაც დაევალა განიხილოს საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიმართულება უნდა მიიღოს შემდეგში იმ სტატისტიკურ მასალის შემუშავების საქმემ, რომელიც შეგროვდა 1897 წელს მომხდარ საყოველთაო აღწერის დროს. კომისიამ ამასთანავე უნდა გამოარკვიოს, რამდენი ფული დასჭირდება ამ მასალის შემუშავებისა და დაბეჭდვის საქმეს.

∝ 1-ლ იანვარს გაზეთ „ნოვოსტი“-მ იდღესასწაულა 25 წლის იუბილეი, რა ხნის განმავლობაშიაც ეს გაზეთი ბ. ნოტოვიჩის რედაქტორობით გამოდის. ამ გაზეთის იუბილეის თანაგრძნობით მიეგება რუსეთის პრესსა.

წერილი ბათუმიდან.

8 იანვარი ახალ-წლის საბჭოს პირველ სხდომაზედ ვერაფერი სასიამოვნო ამბები მოვისმინეთ ყველა იქ მყოფმა. თავმჯდომარემ კრებისამ, ბატ. ი. ივანოვმა აუწყა საბჭოს, თუ რა გადაწყვეტილება მიუღია პეტერბურგში ახლად დაარსებულ ნავთ-სადგურებზედ მზრუნველ კომისიას იმ შუამდგომლობათა შესახებ, რომელნიც ქალაქს ქონდა წარდგენილი საჭირო ფულების გამოსატანად, იმ ფულებისა, რომელიც დღემდინ ბათუმის საკუთრებას შეადგენდა. ქალაქი თხოულობდა ელექტრონულ განათებისათვის წლიურ სახარჯავს – 39,430 მან; ახალ დიდ საავადმყოფოს შესანახავად წლიურად—34,780 მან; წყლის ახალ მილების გამოსაყვანად ამ წლისთვის მთელი ხარჯის მესამედს—150.000 მან; ბათუმის გარეშემო ჭაობიან ადგილების დაშრობის დასამთავრებლად (ქალაქს უკვე დახარჯული აქვს 150.000 მან.) 200.000 მან; ქუჩების მოკირწყვლისათვის და ტროტუარების დასაგებად 170.796 მან. კომისიამ თავის სხდომების დაწყების წინ შეატყობინა ქალაქს, რომ მას გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი ფულების განაწილებაზედ დასასწრებლად. საჩქაროდ გაგზავნილ იქმნა გამგეობის წევრი გრ. ვოლსკი, რომელმაც ძლივს მიუსწრო კომისიის პირველ სხდომებს. კომისიას საჭიროდ უცვნია ფულის მიცემა ქალაქისათვის მხოლოდ ნავთსადგურის განკარგებისათვის. გულ-დაწყვეტილი ხმოსნები თავმჯდომარეს სხვათა შორის ეკითხებოდნენ, გვაქვს თუ არა ძველი ფარნების ბოძებით, რომ ელექტრონის განათების, გაუქმების შემდეგ ახალი ხარჯი აღარ მოუვიდეს ქალაქს. დიახ, ვერაფერი სასიამოვნო ამბები გააგონა ახალი წლის პირველმა სხდომამ ქალაქს. ნუ თუ მართლა ბათუმი იძულებული იქნება ისევ დაუბრუნდეს ქუჩების ნავთით განათებას; შესწყვიტოს ჭაობიან ადგილების შრობა; ცარიელი იქონიოს ახალი საავადმყოფოს შენობები შიგ თაგვების თავისუფლად სახრიგინებლად და სხვა?!... ერთად-ერთი იმედი ახალ შუამდგომლობაზედაა, რომელსაც ქალაქი ხელახლა წარუდგენს მთავრობას. თუ იგი ახლაც შეუწყნარებულ არ იქნა, მაშინ მშვიდობით ელექტრონიც, დიდი საავადმყოფოც, ბათუმის წმინდა ქუჩებიც—ბათუმის თავ-მომწონობაც!

წარმოიდგინეთ, ამ გვარ გასაჭირის ხანაში ერთი ჯურის ხალხი მაინც არ ისვენებს, ათასნაირ ხრიკებს იგონებს, ოღონდ კი არ აღირსონ ბათუმს მის კეთილდღეობისათვის მზრუნველი პატრონი, მის ინტერესების დასაცველად ამორჩეული პირი.

სწორედ ამიტომაც იქმნა, რომ სხდომის გათავების შემდეგ ხმოსნები ისევ დარბაზში დარჩნენ, იქონიეს კერძო თათბირი, რომელზედაც გარდასწყვიტეს, გაუგზავნონ დეპუტაცია, ხუთი კაცისაგან შემდგარი, ქუთაისის გუბერნატორს, რათა მან კეთილინებოს ახლად არჩეული თავ. ი. ანდრონიკაშვილის ქალაქის თავად დამტკიცება, რადგან ქალაქი ამას მეტის მეტად საჭიროებს. დეპუტაციაში მოხვდნენ ხმოსნები: თავ. მიხ. ნაკაშიძე, ვ. გრიელსკი, ზია-ბეგ აბაშიძე, პოდოლეცკი და დიმიტრიადი. დეპუტაცია მიემგზავრება ქუთაისში ხვალ.

წერილი რედაქციის მიმართ

ჩვენა გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი წერილი: „დრაგუნთა ტვერის მე-43 პოლკის ქალთა და ოფიცერთაგან შემდგარი საქველ მოქმედო კომიტეტი, რომელიც ზრუნავს გადმოსახლებულთა, დროებით ღედოფლის წყაროზე თავშესაფარებულთ, ყოფა-ცხოვრების მოწყობაზე, გთხოვთ, თქვენის პატივცემულის გაზეთის საშვალებით გარდასცეთ კომიტეტის გულითადი მადლობა ყველა იმათ, ვინც შემოსწირა ფული გადასახლებულებისათვის. აი ამ პირთა ვინაობაც: მამა იოანნე სერგიევი (კრონშტატელი)—200 მან., ბ. ბ. ოფიცრები დრაგუნთა სევერის მე-45 პოლკისა – 51 მან. 75 კაპ., ბ. ბ. ოფიცრები ოსების ცხენოსანთ დივიზიონისა-32 მან. ვ. ნ. ბოგოსლოვსკი (კუკიის ეკკლესიაში შეკრებილი) – 8 მან. 67 კაპ., დეკანოზი მ. ვოსტორგოვი—6 მან., პ. ლ. თულაევი-3 მან., პოდპოლკ. ბენდერევი— 5 მან., პოლკოვნიკ ვ. ფ. პოლიანოვსკი – 5 მან., ვ. ე. პეტრაკოვსკი—2 მან., ვაჭარი ოთაროვის კანტორა-5 მან., ვ. ე. თუმანოვისა—3 მან., ს. დავიდოვ-1 მან., ტერპორტუ-გიმევოსიან-1 მან., ტ. პაატოვი-1 მან., ე. პაატოვი—1 მან., კაპიტანი აბრამოვი-2 მან., ვ. კ. ალექსანდროვიჩ—3 მან., ა. ა. ოთაროვ—15 მან., დოქტორი ნაუმენკო—10 მან., და 43 დრაგუნის ტვერის პოლკის ქალები და ოფიცრები—167 მან. 90 კაპ., მათივე გამართული კონცერტიდან—28 მან. პოლკოვნიკი თ. გ. ლ. მელიქოვი-25 მან. შირაქის ბოქაული მალინოვსკი-1 მან. შემდეგ ღედოფლის წყაროზე მოვაჭრენი, რომელთაც სხვა და სხვა რამე შემოსწირეს: ა. ა. ოთაროვ, მ, ა. მარტიროსოვ, ხაჩატურ ბარსომოვ, ს. ამინც, ს. ხეჩუმოვ, ნ. ხეჩუმოვ, მანგოშვილი, ს. ბულაშვილი. ა. ბაღდასაროვ, დრაგუნთა ტვერის პოლკის ესკადრონები, რომელთაც სურსათი შესწირეს.

თავმჯდომარე კომიტეტის, კნ. ლიუდმილა,
ნიკ. ვაჩნაძისა. მდივანი კომიტეტისა.
პარუჩიკი კარნოვიჩი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 იანვარი

კონსტანტინეპოლი. სანჯაკ მიშში სომეხთა ბრბო შეეტაკა ჟანდარმების რაზმს. მოკლულია ჟანდარმის აფიცერი, უნტერ-აფიცერი და ჟანდარმი დაჭრილები არიან. ბრბო დაიმალა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატამ უარჰყო კარლის წინადადება მთავრობის გაკიცხვის შესახებ. გარდა ირლანდიელებისა, კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს რადიკალების უკიდურესმა ჯგუფმა და აგრეთვე ლიბერალების და იმპერიალისტების დიდმა რიცხვმა.

ბერლინი. რეიხსტაგი. იმპერიის საკანცლერო ბიუჯეტის განხილვის დროს ბიულოვმა სთქვა, რომ არჩევნების შესახებ კანონის გაუქმება რეიხსტაგს არ შეუძლიან; მოკავშირე მთავრობანი სრულიად თავისუფლად მოქმედობენ. „რაც შეეხება ჩვენ განწყობილებას შეერთებულ შტატებთან, ჩვენი სურვილია დავიცვათ ურთიერთ შორის ძველებური კეთილ განწყობილება, რომელიც ჩვენსა და შტატებს შორის ყოველთვის არსებობდა. ამ კეთილ განწყობილების გამომხატველია პრინც ჰენრიხის წაბრძანება ამერიკაში“.

კიევი. გარდაიცვალა ტროიცკის მონასტერის წინამძღოლი არქიმანდრიტი იონა.

10 იანვარი

პეტერბურგი. 9 იანვარს ხელმწიფე იმპერატორის თანადასწრებით აკურთხეს ახალი კლინიკა ცხვირის, ყურის და ყელის ავადმყოფობისა.

მოსკოვი. 9 იანვარს სამეურნეო განათლების მოღვაწეთა სხდომა დაიხურა. საფინანსო მინისტრს გაუგზავნეს დეპეშა, რომლითაც გამოუცხადეს მადლობა და რწმენა, რომ სამინისტროს შრომა სამეურნეო განათლების სასარგებლოდ უნაყოფოდ არ ჩაივლის.—9 იანვარს ოლქის სასამართლომ მოისმინა გლეხის პოლნიცკინის საქმე. პოლნიცკინს აბრალებდნენ 19 წლის როსკიპი ქალის მოკვლას. პოლნიცკინი დამნაშავედ სცნეს მძიმე ჭრილობისათვის და ორი წლით ციხე გადაუწყვიტეს.

კონსტანტინეპოლი. ხმა გამართლდა, რომ ოსმალეთის კომისარმა თავის თანამდებობას სოფიაში თავი დაანება.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ვალტონმა წარუდგინა პალატას წინადადება იმის შესახებ, რომ ადრესში გამოთქმულ იქმნას სურვილი ინგლისის ინტერესების დაცვის საჭიროების შესახებ სპარსეთში. გრაფი პერსი იცავს ვალტონის წინადადებას და ამასთანავე იმედს აცხადებს რომ ინგლისი ხელს არ შეუშლის გერმანიის საქმეებს ეფრატის ხეობაში. როგორც ინგლისი სპარსეთისათვის, ისე გერმანია ოსმალეთისათვის სცდილობენ მკვიდრთა აღორძინებას. გრეი ამბობს, აუცილებლად საჭიროა რუსეთს შევეთანხმოთ აზიის ყველა საქმეში. რუსეთის ინტერესები სპარსეთში მატულობს; ინგლისი უნდა სცდილობდეს გააძლიეროს იქვე თავისი ვაჭრობა. კრანბორნი უპასუხებს, რომ აზიაში ინგლისმა უნდა დაიცვას status quo. საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამით ჩვენ რუსეთს ვავნებთ; თუმცა მართალია ვსცდილობთ მეგობრულად ვიყვნეთ რუსეთთან და სხვებთანაც, მაგრამ ამ მეგობრობისათვის არ უნდა დავთმოთ ჩვენი უფლებანი. ჩვენ არ შეგვიძლიაო, სთქვა კრანბორნმა, ჩვენი უპირატესობა სპარსეთში დავუთმოთ ვისმე. ჩვენი მთავრობა აგრეთვე თანაგრძნობით მიეგება რუსეთის მონაწილეობას სპარსეთის რკინის გზების გაკეთებაში, როგორც გერმანელები მიეგებნენ. ვალტონი უარს ამბობს თავის წინადადებაზე.

ბუქარესტი. ფინანსთა მინისტრი პალადესი სამსახურიდან გადადგა. საზოგადო სამუშაოთა მინისტრს ბრატიანოს დაევალა დროებით გარეშე საქმეთა სამინისტროს მმართვა.

ლოძი. შუამდგომლობა აღიძრა სავაჭრო მეორე პროგიმნაზიის შესახებ.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	5 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც **„მოამბე“**-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატება და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372**
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“

Дозволено цензурою Тифлисъ, 10 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.